№ 152 29 მკათათვე, შაბათი 1866—1878 29 მკათათვე, შაბათი № 152

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ვენა, 27 Iკლისს. ბოსნიაში შესულ ავსტრიის არმიის მე-13 კორპუსს ჰქონდა შეტაკება აჯანყებულებთან მაგლოის მახლობლად. ავსტრიის მხრით 2 კაცია მოკლული და 10 დაჭრილი. აჯანყებულებს ორი ბაირაღი წაართვეს. ავსტრიის ჯარი აღარ გაედევნა აჯანყებულებს, რადგან დაღალული იყო. მაგლიდამ ხალხი გავიდა. რამდენიმე აჯანყებული, რომელნიც დაიარაღებული დაიჭირეს ავსტრიელებმა, დახვრიტეს.

ვენა, 27 Iკლისს. „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა გუშინ გამოგზავნილი სტამბოლიდამ:

„ამბობენ, რომ მოლაპარაკება რუსეთსა და ოსმალეთს შუა, ადგილების დაცლის თაობაზედ, მშვიდობით და დათანხმებით გათავდაო. შვიდი დღის შემდეგ რუსები დაიწყებენ გამოსვლას იმ ოსმალოს ადგილებიდამ, რომელნიც იმათ ჯარებს უჭირავთ ახლა. ამ ხნის განმავალობაში ოსმალეთმა თავის მხრით ბათუმიდამ და ვარნიდამ უნდა გაიყვანოს თავის ჯარები და უნდა დაუთმოს რუსეთს. მხოლოთ ამის შემდეგ, ე. ი. 19 აგვისტოსა და 25 აგვისტოს შუა, რუსები დაიწყევენ უკან სტამბოლიდამ.

„რადგან ოსმალეთის მთავრობას მოუვიდა ამბავი, რომ ზოგიერთს პროვინციებში ხალხი იარაღს იღებს და აჯანყებას აპირებსო, ამის გამო ბრძანება გამოსცა, რომ სამხედრო ხომალდები გაიგზავნოს ჯარებით ალბანიის ნაპირებისაკენ.

საქართველო

დღიური

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ წესდება იმ „წერა-კითხვის საზოგადოებისა“, რომლის დაარსებაც ამ რამდონიმე თვის წინათ გადაწყდა ჩვენში, მოკლე ხანში იქნება დამტკიცებულიო; უმაღლესი მთავრობა ხსენებული საზოგადოების წესდების დამტკიცებაში არავითარ დაბრკოლებას არ ჰპოებსო.

მოგეხსენებათ, რომ ყველაზე პირველად ამ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ განზრახვა აქვს, რომ ესრედ-წოდებული მოსამზადებელი კლასსი გახსნას Tფილისის თავად-აზნაურებისა, გლეხებისა და საზოგადოთ ყველა ქართველ ყმაწვილებისათვის; ამ სასწავლებელში სწავლა ოთხ წელიწადს გაგრძელდება; ყველა საგნებს ქართულს ენაზე ასწავლიან; შკოლიდამ გამოსული ყმაწვილები იმდენათ მომზადებულნი უნდა იქნენ, რომ გიმნაზიის პირველ კლასში შევიდნენ.

*** Tფილისის სავაჟო პროგიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ ამ პროგიმნაზიაში შესასვლელი და დამატებითი ეგზამენიები 22 აგვისტოდამ დაიწყებაო. ყმაწვილები მიიღებიან მხოლოდ მოსამზადებელს, მეორე, მესამე და მეოთხე კლასში; პირველ კლასში კი თუ ვაკანსია იქნება, მხოლოთ მაშინ. ეგზამენის დაჭერის ნებართვის თხოვნასთან ყმაწვილებმა უნდა წარადგინონ პროგიმნაზიაში აგრეთვე თავიანთი დოკუმენტები (მეტრიკული, ნათლიობის და სხვ.). სწავლა 1 ენკენისთვეს დაიწყება.

*** ქარელიდამ გვწერენ, რომ ზემო-ხვედურეთის მადნის წყლებზე წელს უფრო ბლომად მოვიდა ხალხი სააქიმოთ, ვიდრემ კვლავ მოდიოდნენ.დ მა ქვემო-ხვედურეთის წყლები (ქარელის სტანციიდამ ოთხ ვერსზეა), ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით, ჯერ ექიმებისაგან არ არის გამოკვლეული, მაგრამ აქ მომეტებული ნაწილი ქარით ავათმყოფები მოდიან აქაო და, როგორც გვარწმუნებენ, ძალიან უხდებათო. წყლის პატრონებს გაუმართავთ სოფელში სადგომები ისე, რომ მომსვლელ ავათმყოფებს ამ მხრით დიდი შევიწროება არ მოელისთო.

*** „Iვერიაში“ ზაქათალის მაზრის სოფ. კახიდამ იწერებიან, რომ მას აქეთ, რაც ჩვენი ნაიბი უფ. ბოლუსლავსკი წავიდა და მის მაგიერად დროებით ახალი ნაიბი დანიშნეს, აქაური ბეგები და განსაკუთრებით ხალხის მცარცვავი ვაჭრები ერთობ გახარებულნი არიან, რადგან იმედი მიეცათო, რომ ეს ახალი ნაიბი მთასა და ბარს (ე. ი. გლეხსა და ბეგ-ვაჭრებს) არ გაასწორებს ერთად და იმათ მხარეს დაიჭერსო.

კორრესპონდენტი ამბობს, რომ მართლაც ამ ახალი დროებით ნაიბის დანიშნვის შემდეგ აქაურ ვაჭრებს და ბეგებს აღდგომის დღე გაუთენდათ და იმათგან დაჩაგრული გლეხი-ხალხი კი მოუთმენელად მოელის ისევ თავის კეთილ-სინიდისიან და სამართლიან ძველ ნაიბის უფ. ბოლუსლავსკის დაბრუნებასაო.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 19-ს იქაურ ქართული სცენის მოყვარეებს წარმოუდგენიათ ორი პიესა: „უსახელო კომედია“ და „ცელქები“. განსაკუთრებით „ცელქების“ თამაში ძალიან კარგათ, ცოცხლად წავიდაო.

წარმოდგენა ყოფილა იმ სოხუმელების სასარგებლოდ, რომელთაც ამ უკანასკნელ ომში ნახეს ზარალი. ამბობენ, რომ ამ საგნისათვის ას მანეთზე მეტი დარჩათ სცენის მოყვარეთაო.

*** ძალიანია ეს ჩვენი Tფილისის ასსენიზაციის, ე. ი. გასუფთავების, გაჯანმთელების კომიტეტების მოქმედება. მთელი მისი გამჭრიარხობა გამოიხატა ოთხ უმთავრეს საგანში: ყასაფხანა ქალაქ გარეთ გადაატანინა და მით ხორცის მჭამელი ქალაქის მცხოვრებლების კუჭი და ჯიბე საეჭვო მდგომარეობაში ჩააგდო და შეავიწროვა; ბრალიანებს უბრალო სახ ოის პატრონებიც თან მიაყოლა და ჯარიმები გადაახდევინებინა, ზოგიც დაატუსაღებინა,—აქაო და მაშ მერა მქვიანო.

საზოგადო ფეხის-ადგილები დააკეთა და მით თვალს მოარიდა და კედლებს მოაშორა სიბინძურე, თორემ ცხვირი და ფილტვები ისევ იმ მდგომარეობაშია და უფრო ცხარეთაც—ისე რომ გულშეღონებულისათვის ნიშადურის სპირტად გამოდგება იმ ფეხის ადგილების სუნი.

პატიოსანი ქუჩები საზიზღარ სანაგვეებად გახადა რაღაც წითელი ყუთების დადგმით, რომელთა ეგარემო მუდამ

იმდენი ნაგავი და ეაი-ეაგლახი ჰყრია, რომ ხშირად ყუთი აღარა სჩანს.

ყველა-ყველაა, მაგრამ მე ეს სანაგვე ყუთები ყველაზედ ძალიან მომწონს, მაგრამ ერთი ნაკლულევანება რომ შეუსრულონ, მაშინ სულ ჩინებული იქნება: თითო ყუთს ანუ უკეთ ვსთქვათ თითო ნაგვის გორაკს რომ ათიოდე ღორიც მიუჩინონ შესაქცევრად მაშინ სწორედ დაგვირგვინებული იქნება მისი საქმე — ქალაქის გასუფთავებ-გაჯანმთელება....

„დროების“ კორრესპონდენცია

ქ. ახალქალაქი, 22 ივლისს. აგერ მოვიდა ზაფხული და შარშანდელივით ახალქალაქის უეზდში ავაზაკობის შემოპარვა დაიწყეს. ამ რამოდენიმე დღის წინათ სოფ. რადიონოვკისა და ფოკას შუა ორი ახალგაზდა კაცი დაეკლათ; გზას ქვემოთ თაფარავნის ტბისაკენ, ოცდა-ხუთ ნაბიჯზედ ეყარნენ, მატლები დახვეოდათ და საძაგელი სუნიც უდიოდათ.

პირველისათვის ყელი გამოეჭრათ, თათები და ყურები მოეჭრათ, სამ-ოთხ ადგილას სხეულზედ ხანჯლით დაკრული იყო, სახე გაშავებული, ცხვირი და თვალები აღარა ჰქონდა, მატლებს ამოეჭამათ; სუფთა კარგი ტანისამოსი ეცვა, როგორც ეტყობოდა, ვაჭარი უნდა ყოფილიყო; ჯიბიდგან ამოუვიდა ვერცხლის კოლოფი ზედ წმინდა გიორგის სურათით, პომადა და პაპიროზის ქაღალდები.

მეორესაც ყელი გამოჭრილი ჰქონდა, სახეზედ მარცხენა მხრით ყურიდგან ნიკაპამდისინ ხანჯლით დაკრული, ეგრეთვე გვერდშიც ფილტვებამდისინ; სახე გაშავებული, ცხვირი და თვალები აღარ ეტყობოდა; ამას უფრო მდაბიურათ ეცვა, როგორც ალექსანდროპოლის უეზდის ფრანგების სოფლელებს აცვიათ ხოლმე. გარეშემო ღედა მიწაზედ სისხლი არასად არ იყო, არც ბალახებში კვალი; ესენი სახლში სადმე დაკლულები იქმნებოდნენ, შეიძლება ან ფულისათვის, ანუ ქალებზედ მიპარვისათვის შენიშნავდნენ და უნამუსობისათვის მოხდებოდა, მერე სახლებიდგან გამოიტანდნენ და გადაჰყრიდნენ. რომელსაც კარგათ ეცვა, ამასთან ახლო ქარქაშიდგან ამოღებული სისხლიანი ხანჯალი ეგდო.

თუმცა ამ ადგილიდგან სადაც დახოცილები ეყარნენ, ხუთ-ექვს ვერსზე თაქლელი თარაქამები ზაფხულში სცხოვრებენ, მაგრამ ამათ არ უნდა მიეწეროთ ამისთანა ავაზაკობა, რადგანაც ამათზედ უფრო ახლო ისეთი ჩახრამული ხევები არიან, რომ იქ უფრო ადვილათ ჩამარხამდნენ და ვერც არავის დაინახავდა.

აქამდისინ არც პატრონები და არც ნათესავები არ აღმოჩნდნენ, რომ ამათი ვინაობა, ან საიდგან მომავალებულან შეიტყონ. ამათი ტანისამოსი შენახულია მომრიგებელ მოსამართლის გამომძიებელთან უფ. ზიევსკისთან.

კავკასიის გრენადერის დივიზია მოვიდა თავისი ბატარეიებით ახალქალაქს; დაბანაკდა და თან დიდი ძვირობაც ჩამოვარდა ამ უეზდში; ეს უსამართლო მოვაჭრე სომხები ისეთ ნაირათ ღლეფენ, რომ ასრე თარაქამის ავაზაკიც არ იმოქმედებდა. კარგი რომ სამხედრო აფიცრებს კარგი ჯამაგირები აქვთ და ხარჯვენ,—ამ საწყალმა ახალქალაქის წვრიმალმა ჩინოვნიკებმა და ღარიბმა ხალხმა, ცოტა ჯამაგირებით რა უნდა ქმნან; უკანასკნელი პერანგებიც კი მოუხდებათ დალეჭონ. . . .

ჯავახი

ივრის ხეობიდგან, 20 ივლისს. სოფლის მოხელეებზედ საჩივარი რომ ახალი ამბავი არ არის ჩვენი ხეობიდგან, მაგრამ ეს საჩივარი ახლა ერთი ათად მომეტებულია ჩვენში. ამის მიზეზად ის გარემოება მიგვაჩნია, რომ ამ ჟამად სუდია-მამასახლისები ხუთი-ექვსი თვე იქნება, რაც უკვე გამოცვლილები არიან სოფლის საზოგადოებათაგან, მაგრამ მაგარი ეს არის, რომ მათ ნაცვლად არჩეულები მთავრობისაგან ჯერ არ არიან დამტკიცებულნი.

ახლა რადგან ეს ბატონი მოხელეები თავის სახელოსაგან ხანგრძლივად აღარას მოელიან და დღე-დღეზედ მოელიან თვის თანამდებობათაგან გადაყენებას, ამიტომ უფრო დაუფერებლად მიუყვიათ ხელი გაკვრა-გაგლეჯისათვის, რა არის და ჩქარა შეისრულონ, რაც დააკლდათ. (დროც მითომ კარგი ხელის მოსათბობი არ შეჰხვდათ თუ?—მილიციის მოკრება, ბევრის ურმების გამოყვანა და სხვ. და სხ.). ვილას მოეფერებიან, არვის მოერიდებიან?!..

ჩვენის აზრით, ძალიან საჭირო იყო, თუ ასე დაგვიანდებოდა ახლად ამორჩეული მოხელეების დამტკიცება, მერე ამისთანა გაცხარებულ დროში,—სულ არ მომხდარიყო ეს ამორჩევა და რაკი მოხდა—მაშ დაუყოვნებლივ იყოს დამტკიცებული, რომ ძველ, ხალხისაგან დაწუნებული მოხელეებს აღარ მიეცესთ საშუალება უმეტესის მძვინვარებით ყვლიფონ და გლიჯონ ხალხი.

არ შეიძლება ერთი მოაზრებაც არა ვსთქვათ აქ. უსიტყვოს, გზა და კვალის უცოდინარ ხალხს ძლივს სამ წელიწადში ერთხელ მოსდის ის ბედნიერი დღე, რომ უყალ-მაყლოდ თავისი უსამართლო, შემაწუხებელი და მყვლეფავი მოხელეები მოიშოროს თავიდგან და ამ დიდხანს მოლოდინებული ბედნიერებითაც რომ თავის დროზედ ვერ ისარგებ-

---

ფელეტონი

ხალხის არეულობა აგხაზეთში *)

სოხუმის სამხედრო განყოფილობა, წებელდის გარდა, რომელშიაც ცხოვრობენ ბერძნები და ბოლგარები, შესდგება პიჭვინტისა და ოჩამჩირის მაზრისაგან. ამ ორივე მაზრის მცხოვრებლების რიცხვი აღის 99 ათასამდინ. ამ რიცხვში 86 ათასი ქრისტიანები არიან და 13 ათასი მაჰმადიანები.

მთელს სოხუმის განყოფილებაში 57 ეკკლესია; ამათში 37 შუა აბხაზეთში. ამ ეკკლესიების აშენება და სამი ძველებური—პიჭვინტისა, დრანდის და მოქვის სობორების გადაკეთება სულ სახელმწიფო ფულით იყო, მუშაობაში და მასალის მოზიდვაში კი ხალხიც კარგა შველოდა. ძველებური ქრისტიანების ეკკლესიის ნანგრევებმა გაუადვილეს აბხაზეთის მცხოვრებლებს მართლ-მადიდებლის სარწმუნოების მიღება. მღვდლებსა და მრევლს შუა არაგვარი წინააღმდეგობა არ იყო.

აბხაზები ყოველთვის ზრუნავდნენ თავიანთ შვილების განათლებაზე; მაგალითად ოჩამჩირის მაზრაში გახსნეს შვიდი სასოფლო შკოლა და პიჭვინტის მაზრაში ორი. სოხუმში იყო ორ-კლასიანი შკოლა თავისი მოსამზადებელ კლასით და საქალებო პროგიმნაზია. ორ-კლასიან შკოლაში მოსწავლე იყო 70-მდინ და საქალებო პროგიმნაზიაში მოსიარულე ქალების დედ-მამას დიდის სიამოვნებით შეჰქონდათ სწავლის ფული წელიწადში 10 მანეთი. ყმაწვილები, კარგი მასწავლებლების მადლით, დიდის სიამოვნებით დაიარებოდნენ ამ შკოლებში და სწავლაც ძალიან კარგათ მიდიოდა.

ზოგიერთი ამ შკოლებში სწავლა-შესრულებული ყმაწვილები სხვა-და-სხვა ქუთაისისა და თფილისის გიმნაზიებში აგრძელებენ თავიანთ სწავლას.

მაჰმადიანი აბხაზები სცხოვრობდნენ ქალაქის სოხუმის გარშემო სოფლებში და ბევრი თვითონ სოხუმში.

ოსმალები მოდიოდნენ აქ მუდამ ზოგი ტრაპიზონიდამ და ზოგი ბათუმიდამ თევზების სავაჭროთ; ამათ გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ აბხაზები.

ეს ოსმალები ავრცელებდნენ მათში მაჰმადიანის სარწმუნოებას და აძლევდნენ მოლობას არა თუ მარტო კაცებს, არამედ ქალებსაც, ურჩევდნენ მათ, რომ გამოეტანათ ნება მეჩითის ასაშენებლათ,

---

*) ეს სტატია დაბეჭდილია რუსული გაზეთის „გოლოსის“ უკანასკნელს ნომრებში დ დაწერილია მაჭავარიანისაგან (თუ არ ვცდებით, აბხაზეთის ბლალოჩინისაგან). სტატიაში ვნახეთ ჩვენ ბევრი საინტერესო ცნობები როგორც აბხაზეთში ოსმალების შემოსვლაზედ, აგრეთვე ზოგიერთ იქაურს გავლენიან პირებზე, და ამიტომ საჭიროთ დავინახეთ, რომ ეს სტატია შემოკლებით გადმოგვეღო ქართულს ენაზე და გაგვეცნო ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს იმან—დიაღ ცოდვად მიგვაჩნია და ხალხისათვის დამღუპველ გარემოებად. ან კი რისთვის და ვისთვის არის საჭირო, რომ ვადაზედ შემდეგაც ძველივარებდნენ ეს საყოველთაო სენის მსგავსი მოხელეები?!

* *

ომის შემდეგ

რუსეთი

რუსულს გაზეთებში დაბეჭდილია 19 ივლისს სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ სტამბოლის მხრისაკენ დაბანაკებულ რუსის ჯარს უკან დასაბრუნებელად ამზადებენო. აძ ჯერობით ასი ათასი კაცი უნდა გამოგზავნონ ოდესსაში და ამისათვის რუსის მთავრობა ინგლისის გემებს ქირაობსო.

ოსმალეთი

მოგვყავს რამოდენიმე ადგილი იმ კორრესპონდენციიდგან, რომელიც ტრაპიზონიდამ გაუგზავნიათ გაზეთს „ბოლოსში“ ამ თვის 19-ს:

„ბუშინ ტრაპიზონზე გამოიარეს სტამბოლიდამ გამოგზავნილმა სამმა კამისარმა და ფერიკმა იბრაჰიმ-ფაშამ. იბრაჰიმ-ფაშა დანიშნულია ერზინგიანში დაბანაკებული ოსმალოს ჯარის უფროსად მუსტაფ-ფაშის მაგივრად, რომელიც ერზინგიანში მოკვდა საოფლით.

„ყველა კამისარები, რომელთ რიცხვში არის ქურთი ახმედ-შეფიკ-ფაშა, ძალიან საპატიო ხალხია. ამათ ახლავთ სომეხი მელიტოს-ეფენდი. ესენი მიდიან სომხეთში იმ განზრახვით, რომ გამოიკვლიონ აქაური სომხების მდგომარეობა, სურვილი და შემოიღონ იქ რეფორმები, დაწესონ ადგილობრივი ხალხის წარმომადგენელთა კრება (პარლამენტები), შეადგინონ ქურთებისა ოსმალებისა და სომხებისაგან მილიციები, აღმოარჩიონ ღუბერნატორი და სხვ.

„ოსმალოს მთავრობა არ მალავს ახლა, რომ ოსალეთისათვის ძალიან საარგებლო იქნებაო რომ სომხეთს ავტონომია (თავის საკუთარი მთავრობა) მისცენ, რადგან როცა ისინი მომადლიერებულნი ეყოლებათ, მაშინ რუსეთის აქეთკენ აღარ შეეშინდებათ.

„აქაური სომხები და განსაკუთრებით ბერძნები ძალიან გაბრაზებულები არიან ინგლისზე; იმან მოგვატყუილა ჩვენაო, ბევრი დაგვპირდაო და როცა კონგრესზე ჩვენს საქმეებზე ჩამოვარდა სჯა, ინგლისის წარმომადგენლებმა ჩვენ სასარგებლოდ ხმაც არ ამოიღესო.

„შესანიშნავია, რომ ახლა სარწმუნოებაზედ, იმის შეეიწროებაზედ და თავისუფლებაზედ აქეთკენ კაცი აღარ ლაპარაკობს. ყველანი თავის ნაციონალობაზე, ხალხისნობაზე და საზოგადო, საერო ინტერესებზე, თავის მამულზე სჯიან. ითქმის უბრალო სოფლელ სომეხსა და ბერძენს რომ ჰკითხოთ, ისიც მხოლოთ თავის „ქვეყნის, თავის მამულის“, და არა სარწმუნოებაზე, დაგიწყებსთ ლაპარაკს.

„ი ეს შედეგი მოიტანა ახლანდელმა ომმა. იმან დასწია უკან სარწმუნოების საქმე და წამოაყენა ნაციის, მამულის სამშობლოს ჰაზრი.“

— „ჰავასის სააგენტოს“ სწერენ სირიიდამ, რომ ვითომ ევფრატის რკინის გზის დასაცველად, ინგლისს ჰსურსო, რომ მესოპოტამიაშიაც ისეთი გავლენა და თითქმის ბატონობა შეიძინოს, როგორც ქიპრზე და მცირე აზიაში შეიძინაო.

ავსტრია

„ხალხთა-მორის ტელეგრაფის სააგენტო“ გვაცნობებს:

„ავსტრიის ჯარების ბოსნიაში შესვლის დროს საზიზღარი სცენები მოხდა. რამდენსამე ალაგას საშინელი სისხლის ღვრა მოხდა. როდესაც ხსენებულმა ჯარმა ქალაქი ბროდი დაიჭირა, მაჰმადიანმა თავის სახლის ფანჯრებიდამ თოფის სროლა დაუწყეს ავსტრიელებს და ამის გამო ამათ აიკლეს ის უბნები, რომელშიაც ოსმალები ცხოვრობდნენ. ამ გვარივე სისხლის ღვრა სხვა ადგილებშიაც მოხდა.

„ოსმალეთის მთავრობა გაჯავრებულია ავსტრიაზე, რომელმანც არ შეკრა იმასთან პირობა, რომ ევროპის ოსმალეთი დაიცვას იმან მტრისაგან და ამის გამო ახლა თვითონ აქეზებს ბოსნიის და ჰერცოგოვინის ხალხს, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ავსტრიის ჯარსა. ოსმალები საიდუმლოდ ურიგებენ ამ პროვინციების მაჰმადიანებს თოფ-იარაღსა და ტყვია-წამალს და უქადაგებენ იმათ წინ დადგომას.

„შმთავრესი ძალა აჯანყებულებისა (განდგომილებისა) სარაევოშია, სადაც ესრედ-წოდებული „ალბანიის ლიგა“ მოქმედებს, რომელმანც გამოაცხადა, რომ ის „მხოლოთ ოსმალეთს ექვემდებარებიან და სანამ უკანასკნელი ღონის-ძიება არ გამოელევათ, ავსტრიის მმართებლობას არ დაემორჩილებიან“.

—

გერმანია

მოგეხსენებათ, რომ როდესაც ბერმანიის იმპერატორს ვილჰელმს მეორედ ესროლეს თოფი იმ განზრახვით, რომ მოეკლათ, თ. ბისმარკის რჩევით დათხოვნილი იყო პრუსიის პარლამენტი (რეიხსტაღი), რომელმანც არ მიიღო და არ დაამტკიცა სოციალისტების წინააღმდეგ

ქადაგობდნენ ოსმალეთის იმპერიის დიდებასა და ძლიერებას და სხვ.

ამ გვარის რჩევებით ძნელი არ იყო აეცრუათ აბხაზების გული რუსის მმართებლობაზე და მიემხროთ თავიანთ მმართებლობისკენ.

მოდიოდნენ აქ აგრეთვე სამსახურ შესრულებული სალდათები, ყაზანის და ყუბანის თათრები, და სხვა-და-სხვა პირები ოსმალეთიდამ, რომლებიც ჯერ სოხუმში გამოჩნდებოდნენ ხოლმე და შემდეგ ჩუმათ გადავიდოდნენ შუა აბხაზეთში.

ზოგიერთი ამათგანი ომის დაწყების დიდი ხნის წინათ შეჰკრებდნენ ხალხს და რაღაც ტყუილს პროკლამატიებს უკითხავდნენ, რომელიც ვითომ ოსმალეთიდამ ანუ ძაბიდამ იყო მიღებული. პიჭვინტის ოლქის სამართველოში ეხლაც არის გამოძიება ერთ ამ გვარს საქმის თაობაზე.

აფხაზები დიდი ხანია მოელოდნენ ომიანობას ჩვენკენ. 1876 წელში გამოჩნდებოდნენ ხოლმე მსუბუქი ოსმალოს ხომალდებით საეჭვო პირები, სოფტები და მოლლები, რომელნიც ურჩევდნენ აბხაზებს, რომ მზათ ყოფილიყვნენ და თუ ვინიცობაა ომი მოხდარიყო, ოსმალოს მხარე დაეჭირათ. ეს პირები ზოგიერთი დატუსაღებულნი იყვნენ, ზოგიერთი კი დაიმალნენ.

ომის წინათ სოხუმის დაცარიელებამ გაუხილა აფხაზებს თვალები და დაარწმუნა, რომ ომიანობა მოახლოებულია.

მცირე ნაწილმა აფხაზებმა, მეტათ სოხუმის გარეშე მცხოვრებლებმა გამოუცხადეს ოსმალეთს სრული თანაგრძნობა და ამის გამო საშიშო იყო მათში მილიციის ამორჩევა და მათგან დახმარება. მომეტებულს ნაწილს აფხაზებს კი სრულებით არ სურდა ომიანობა და ფიქრობდნენ, რომ ოსმალების გამოჩენა აბხაზეთში დაღუპავს მთელს აბხაზეთსაო.

აბხაზეთის პატივცემულნი პირნი, რომელნიც ასრულებდნენ სხვა-და-სხვა თანამდებობას სოფლებში და ისინიც, რომელთაც ჰქონდათ გავლენა თუ თავიანთი მჭევრ-მეტყველობით, თუ სიმდიდრით და თუ ჩამომავლობით, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ, თუ ომი დაიწყო, უთუოთ უნდა დაცლილიყო ზღვის ნაპირები და გადასულიყვნენ მთებში, საიდამაც უნდა ეყარაულად მტრისთვის.

ი რა მდგომარეობაში იყო აბხაზეთი 12 აპრილს 1877 წელს, როცა ომი გამოცხადდა. პიჭვინტის მაზრა იყოფოდა ორ ნაწილათ: ბუმისტინის და ბუდაუტის. ბუმისტინის მცხოვრებლები შესდგებოდნენ ოთხი საზოგადოებისაგან; ბუდაუტის მცხოვრებლები შესდგებოდნენ 17 საზოგადოებისაგან. ითითეულ განყოფილებაში სოხუმის მაზრის უფროსის თანაშემწე სცხოვრებდა. ბუდაუტის გამგებელი ცხოვრობდა სოფ. ლიხნაში სოხუმიდამ 45 ვერსზე.

სოფ. ლიხნა წარმოგვიდგენს ბუნებით მდიდარს ადგილს; მთელი სოფელი მოფენილია მშვენიერი ბაღებით და ვენახებით. საზოგადოთ უნდა თქვას კაცმა, რომ აბხაზეთი ბუნებით და მდებარეობით ძალიან მდიდარია.

(ბაგრძელება მქნება)

სამინისტროსაგან შედგენილი კანონის პროექტი.

ამ ჟამად ხსენებული პარლამენტის ახალ დეპუტატების კენჭი-ყრა არის გერმანიაში და, როგორც უკანასკნელი ფოჩტით მოსულ გაზეთებიდამ სჩანს, ახალი რეიხსტალიც მოწინააღმდეგე იქნება ბისმარკის პოლიტიკისა, როგორც წინანდელი დათხოვნილი რეიხსტალი იყო, რადგან მომეტებული ნაწილი ახლად არჩეული დეპუტატებისა ნაციონალ-ლიბერალები, კლერიკალები, სოციალისტები და სხვ., მმართებლობის მოწინააღმდეგე პირები არიან.

განცხადებანი

ისყიდება უუ. ჩარკვიანის, გრიქუროვის და ვართანოვის წიგნის მაღაზიებში

„დავა“

ანუ

ტოჩკა და ზაპეტაია

კომედია ხუთ მოქმედებად

თ. გიორგი ერისთავისა

ფასი ექვსი შაური

(5—2)

ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში, ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, **ისყიდება** რუსულს ენაზე დაწერილი წიგნი **„ბატონ-ყმობის უფლება საქართველოში“** („Крѣпостное Право въ Грузіи“). თითო წიგნის **ფასი თხუთმეტი შაურია**, გაგზავნით ოთხი აბაზი.

(3—2)

დაიკარგა პატარა ხელის **საქ-ვოიაჟი** სალანლუღის სტანციიდამ „ლონდონის“ სასტუმრომდინ, რომელიც იმყოფება ტ ფ ი ლ ი ს შ ი, მიხაილოვის ხიდზედ. მნახველს სთხოვენ წარუდგინოს ამ გასტინიცის პატრონს, რომლისთვის მიიღებს **საჩუქარს 50 მანეთს** (ხუთ თუმანს).

(3—2)

ბიბლიოგრაფიული ცნობა

დაიბეჭდა და ისყიდება **„პატარა ბიბლიოთეკა“**, წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა, ი. გოგებაშვილის რედაქციით.

ფასი ორი შაურია, მაგრამ ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპეიკათა სახალხო შკოლებს, როცა ერთათ იყიდიან ოც-და-ათ ეგზემპლიარსა ნაღდ ფულზედ და კერძო პირებს ასს ეგზემპლიარს თუ ერთათ წაიღებენ.

წიგნი ისყიდება გამომცემლის სოლომონ ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

(10—2)

ორ-კლასიანი სასწავლებელი და პანსიონი ა. ჭიჭინაძისა ქ. ქუთაისში.

ა). **ყმაწვილები მიიღებიან 25 აგვისტოდამ დაწყებული 15-ს სექტემბრამდის.** ვინც დაიგვიანებს, უნდა გამოიცადოს; თუ არ ეცოდინა, რაც უკვე გავლილი იქნება სასწავლებელში, არ მიიღება.

ბ). **სწავლების ქირა** მოსიარულე ყმაწვილს, რომელიც პირველ (მოსამზადებელ) კლასში იქნება მიღებული, გადახდება 50 მანეთი წელიწადში და მეორე კლასის (პირველს)—60 მანეთი.

პანსიონერს პირველი კლასისას გადახდება 250 მანეთი და მეორისას 260 მანეთი. პანსიონერს უნდა ექნეს თავისი: ტანისამოსი, ქვეშსაგებ- ზედსახურავი, კრავატი და სასწავლო ნივთები.

გ). პანსიონში მიიღებიან მხოლოდ იმისთანა ყმაწვილები, რომელნიც ჰსწავლობენ ამ ორ-კლასიან სასწავლებელში. სხვა სასწავლებელთა ყმაწვილებისათვის ბინა არ იქნება.

დ). როგორც ქრისტეს შობის და აღდგომის დღესასწაულობისათვის, აგრეთვე საზაფხულოთ, როგორც სახელმწიფო სასწავლებლებშია, ყმაწვილები დათხოვნილნი იქმნებიან; პანსიონერები საზაფხულოთ არ დაიტოვებიან პანსიონში.

ე). ზემოაღნიშნული ქირიდამ არ გამოირიცხება ული მისთვის, რომ ყმაწვილები აღნიშნულ დროებში დათხოვილები იქნებიან; არც იმისთვის გამოირიცხება ფული, რომ ყმაწვილი ავათმყოფობის გამო ანუ სხვა მიზეზისა გამო კლასს დააკლდეს.

სწავლების ქირა უნდა იქნეს შემოტანილი ნახევარ წლობით წი-ნდაწინ: პირველი ნახევარი ყმაწვილის შემოყვანისა-თანავე, სექტემბერში, და მეორე ნახევარი—იანვარში.

(5—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
ტფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	8	43			8	57	4	76
ფოთი. . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . .	9	83						
ახ.-სენაკი.	10	14			1	18	-	66
სამტრედია.	11	5			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	[illegible]	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
ტფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა ტფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბაზარდა	მან	კაპ
ტფილისი, 26 ივლისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	65
ფქვილი წითელი. . .	1	40
ქერი ფუთი . . .	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
—ამერიკისა, ფუთი . .	7	60
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფთ.	8	—
—თარაქამისა ფთ. .	4	20
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	—
ქონის სანთელი ფუთი.	9	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	70
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	81
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, გოლ. ფუთი .	7	70
— ფხვნილი ფუთი . .	6	40
ყავა გოგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

ტფილისის სამკურნალო

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათ მყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10 მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და გარალევიჩი—შინაგ. ავათმყ., მიუჩარიანცი—თვალისა და ხირურგიულ.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ბაქსტი ვენერიულისა და კანის ა. ბახუტოვი—საბ ბიო და ბავშვის პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგანი, ბაქსტი—გულის და ნერვების.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ბაქსტი გულის, მიუჩარიანცი—სიფილიტიკური და სამშილოჩნო ორგანების, ა. ბახუტოვი—ქალისა და ნერვების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგანი ბაქსტი—გულისა და პეუნოვი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Іюля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.